

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2017 წლის 31 დეკემბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	17



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლგ გრუპი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლგ გრუპი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შემდეგ ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობა ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებითი ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება ხელმძღვანელობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებითი ინფორმაციაზე, მათ შორის, ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს მატერიალურად არასწორი ან არსებობს თუ არა მატერიალური შეუსაბამობა დამატებითი ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის.

ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და

შევაფასოთ, რამდენად მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგება აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ხელმძღვანელობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში დართული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება იმავე წლის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების

საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვსის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის:

ანა ოსიყმიშვილი (SARAS-A-329489)

10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 01 იანვარი
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	8,593	8,313	4,669
არამატერიალური აქტივები		2	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,595	8,313	4,669
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	5,322	2,577	2,399
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,297	2,398	1,804
ფული და ფულადი საშუალებები	7	304	24	230
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,923	4,999	4,433
სულ აქტივები		16,518	13,313	9,102
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		8,411	5,081	4,964
სულ კაპიტალი		8,413	5,083	4,966
ვალდებულებები				
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
გრძელვადიანი სესხები	8	4,637	5,506	2,655
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,637	5,506	2,655
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სახელშეკრულებო ვალდებულებები		2,886	2,427	921
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	531	248	194
საგადასახადი ვალდებულებები		45	40	137
მოკლევადიანი სესხები	8	6	8	9
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	-	220
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,468	2,723	1,481
სულ ვალდებულებები		8,105	8,229	4,136
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,518	13,313	9,102

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	10	17,108	10,043
თვითღირებულება	11	(11,280)	(6,693)
საერთო მოგება		5,828	3,350
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(711)	(465)
საოპერაციო მოგება		5,118	2,885
საოპერაციო ხარჯები	13	(769)	(394)
ფინანსური ხარჯები	14	(388)	(221)
არასაოპერაციო შემოსავლები		23	2
მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		106	(499)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		4,090	1,772
მოგების გადასახადი		(53)	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		4,037	1,772

ხელმოწერილი პირები:

 დირექტორი

 ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

10 ივნისი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი, 2016	2	-	4,964	4,966
პერიოდის მოგება	-	-	1,772	1,772
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
დივიდენდის გაცემა	-	-	(1,655)	(1,655)
31 დეკემბერი, 2016	2	-	5,081	5,083
პერიოდის მოგება	-	-	4,037	4,037
დივიდენდის გაცემა	-	-	(708)	(708)
31 დეკემბერი, 2017	2	-	8,410	8,412

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,090	1,772
ცვეთა და ამორტიზაცია		528	357
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		(106)	499
საპროცენტო ხარჯი		163	145
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე			
(ზრდა)/შემცირება მარაგებში		(2,745)	(178)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		135	(542)
(შემცირება)/ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებებში		459	1506
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		275	52
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე მოგების გადასახადში		5	(317)
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		2,804	3,294
გადახდილი მოგების გადასახადი		(53)	0
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		2,751	3,294
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(808)	(4,001)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2)	0
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		-810	-4,001
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		1,053	3,687
სესხის დაფარვა		(1,943)	(1,472)
ცვლილება გადაფასების რეზერვში		-	-
გადახდილი დივიდენდი		(708)	(1,655)
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,598)	560
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(63)	(59)
წმინდა ფულის ზრდა		279	(206)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში		24	230
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს		304	24

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ლგ გრუპი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 1997 წლის 02 თებერვალს. იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4, ხოლო ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4; თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი #14ა და თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ანდრონიკაშვილის ქუჩა #29.

შპს „ლგ გრუპი“-ს ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

კომპანიის მფლობელები რეგისტრაციის მომენტში იყვნენ :

მალხაზი როსტიაშვილი - 50%;

ოთარ მამულაშვილი - 50%;

კომპანიის რეგისტრაციისას დირექტორად არჩეული იქნა - მალხაზი როსტიაშვილი და ოთარ მამულაშვილი

2017 წლის 4 ივლისს დირექტორად არჩეულ იქნა - მალხაზი როსტიაშვილი და გიორგი როსტიაშვილი. ასევე ცვლილება მოხდა კომპანიის მფლობელებში:

მალხაზი როსტიაშვილი - 50%;

გიორგი როსტიაშვილი - 50%;

2011 წლის 09 მარტს კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართი გახდა - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ვანის ქუჩა #4, მანამდე კომპანიის იურიდიული რეგისტრაციის მისამართი იყო: საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ჯანაშიას ქ N 18.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2017	31 დეკ 2016	01 იან 2016
1 USD/GEL	2.5922	2.6468	2.3966
1 EUR/GEL	3.1044	2.7940	2.6137

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) პირველი მიღება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებას.

შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული მსს ფასს სტანდარტების მიხედვით, შედარების მიზნებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მონაცემების ჩათვლით, როგორც ამას მოითხოვს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ყველა წინა პერიოდისთვის, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჩათვლით, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ადგილობრივი საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არის პირველი, რომელიც ჯგუფმა მოამზადა მსს ფასს-ის შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის)

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოკლებულია მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის

შპს „ლო გრუპი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა	25
მანქანა დანადგარები	10-15
ოფისის აღჭურვილობა	3-15

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს სტანდარტი მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „ლოგ გრუპი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ღირებულება				
ბალანსი 01 იან 16	1,783	3,434	92	5,309
მატება	1,218	2,669	152	4,039
ჩამოწერა	-	(44)	-	(44)
ბალანსი 31 დეკ 16	3,001	6,059	244	9,304
მატება	162	587	58	807
ბალანსი 31 დეკ 17	3,163	6,646	302	10,111
დაგროვილი ცვეთა				
ბალანსი 01 იან 16	41	565	34	640
ცვეთის ხარჯი	19	303	36	358
ცვეთის ჩამოწერა	-	(7)	-	(7)
ბალანსი 31 დეკ 16	60	861	70	991
ცვეთის ხარჯი	58	415	54	527
ბალანსი 31 დეკ 17	118	1,276	124	1,518
ნარჩენი ღირებულება				
01 იანვარი 2016	1,742	2,869	58	4,669
31 დეკემბერი 2016	2,941	5,198	174	8,313
31 დეკემბერი 2017	3,045	5,370	178	8,593

5. მარაგები

მარაგები	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
მასალები	4,078	2,358	2,099
მზა პროდუქცია	1,159	181	289
წარმოება	46	21	-
სხვა მასალები	39	17	11
სულ მარაგები	5,322	2,577	2,399

შპს „ლოგ გრუპი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
სავაჭრო მოთხოვნები	2,799	1,282	1,280
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(1,156)	(394)	-
ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	1,643	888	1,280
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	641	1,495	472
წინასწარ გადახდილი მომსახურეობა	13	15	12
სხვა მიმდინარე აქტივები			40
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,297	2,398	1,804

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	292	24	188
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	12	-	-
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	-	-	42
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	304	24	230

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. სესხები

მოკლევადიანი სესხი	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
დარიცხული პროცენტი ლარში	6	8	9
სულ მოკლევადიანი სესხი	6	8	9

გრძელვადიანი სესხი	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
სესხის ძირი თანხა ლარში	4,637	5,506	2,655
სულ გრძელვადიანი სესხი	4,637	5,506	2,655

შპს „ლოგ გრუპი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ათასებში

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	დეკემბერი 31, 2017	დეკემბერი 31, 2016	იანვარი 01, 2016
სავაჭრო ვალდებულებები	531	248	194
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	531	248	194

მიღებული ავანსების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

10. შემოსავალი

შემოსავალი	2017	2016
შემოსავალი რეალიზაციიდან	17,103	10,018
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5	25
სულ შემოსავალი	17,108	10,043

11. თვითღირებულება

თვითღირებულება	2017	2016
მასალების ღირებულება	10,472	5,983
ცვეთის ღირებულება	453	328
სხვა მასალების ღირებულება	355	382
სულ თვითღირებულება	11,280	6,693

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2017	2016
სახელფასო ხარჯი	499	312
ქონების გადასახადის ხარჯი	76	58
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	75	29
კომუნალური ხარჯი	33	28
სხვა ხარჯი	29	39
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	711	466

13. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები	2017	2016
უიმედო ვალების ხარჯი	769	394
სულ საოპერაციო ხარჯები	769	394

14. ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები	2017	2016
საპროცენტო ხარჯი	163	145
სხვა ხარჯები	127	6
ბანკის საკომისიო	97	70
სულ ფინანსური ხარჯები	388	221

15. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2017	2016
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	491	312
სულ	491	312

16. სხვა მოვლენები

სასამართლო დავები - 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი, დაურიცხავი ზარალი და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გადასახადები – ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას სჯერა, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – ისეთ განვითარებად ბაზრებს, როგორიც საქართველოა, ახასიათებთ განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებული რისკები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, ასევე სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულირება, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, ისევე სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები სხვადასხვა ინტერპრეტაციებს ექვემდებარება. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ისევე როგორც სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემო.

17. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, მიმდინარე წლის მოგება და გაუნაწილებელი მოგება.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 10 ივნისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს „ლგ გრუპი“

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ლგ გრუპი საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთერთი დიდი კომპანიაა.

შპს ლგ გრუპი დაარსდა 1997 წლის 2 თებერვალს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

შპს ლგ გრუპის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში, რამაც დახვეწა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს ლგ გრუპი წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორებიცაა შპს ანაგი, შპს ელიტა ბურჯი, შპს ლისი დეველოპმენტი, შპს აქსის კონსტრაქშენი და სხვა.

შპს ლგ გრუპს გააჩნია საქართველოში წარმატებულად ფუნქციონირების 22 წელზე მეტი ისტორია.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. იგი შემინვისათვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის მწარმოებელი კომპანიის GUARDIAN GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის კი - ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

შპს ლგ გრუპს აქვს სამი ქარხანა ქ. თბილისში. მინის დამუშავება ხდება სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრა და პროფილების აწყობა ვანის ქუჩაზე, ხოლო ქვის დამუშავება კი ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ქარხანებში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერტიფიკატი ISO 9001:2015.

ფინანსური მაჩვენებლები:

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში	2017	2016
შემოსავლები	17 108	10 043
თვითღირებულება	11 280	6 693
საერთო მოგების მარჟა	34.07 %	33.36 %
წმინდა მოგება	4 037	1 772
აქტივები	16 518	13 313
ვალდებულებები	8 105	8 230

პროგრესის მიზეზები:

შემოსავლები - ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: სამშენებლო ბიზნესის განვითარებამ და მზარდმა მასშტაბებმა განაპირობა მოთხოვნის ზრდა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოებაზე; კომპანიის თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვამ განაპირობა მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდა და შესაბამისად კომპანიის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა.

აქტივები - შპს ლგ გრუპის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად კომპანიამ 2016-2017 წლებში შეიძინა თანამედროვე მანქანა-დანადგარები და შესაბამისად დაიწყო მაღალი ხარისხის ნედლეულისა და მასალების იმპორტირება.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია ქვის დამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მომავალისთვის ვფიქრობთ ადგილზე მოვიპოვოთ და მაღალ დონეზე დავამუშავოთ ტუფის ქვა, რათა იგი აქტიურად გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. მომსახურების გასაწევად გამოიყენება თბილისში არსებული ქარხნები და შესაბამისი საწყობები.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2016-2017 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „*ფინანსური მაჩვენებლები*“.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 98 %-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2016-2017 წლებში შესაბამისად შეადგენდა 135 და 156 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 9 ქალია.

5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ლგ გრუპის სამარკო ნიშანია 22 წლის მანძილზე მისი ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, მომსახურების მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი 100%-ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლევს მათ არ ჩამორჩნენ თანამედროვე ტენდენციებს და მოახდინონ მყისიერი ადაპტაცია ნებისმიერ გამოწვევაზე.

6. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

მომსახურეობის მიწოდებისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საექვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

პროდუქციის რისკი. რისკები ძალზე იშვიათად დაკავშირებულია მომსახურეობის მიწოდების ვადებთან. შეძენილი ნედლეულისა და მასალების დამკველზე როგორც წესი არ ხდება და შესაბამისად, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები უმნიშვნელო და არარსებულია.

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვერვასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.

სავალუტო რისკი. დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

10 ივნისი, 2019

დირექტორი

ფინანსური დეპ. უფროსი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლგ გრუპი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლგ გრუპი“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ფინანსური ინფორმაციის შემდეგ ნაწილში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებლობები ვართ, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება ხელმძღვანელობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს მატერიალურად არასწორი ან არსებობს თუ არა მატერიალური შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის.

ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და

შევაფასოთ, რამდენად მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგება აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ხელმძღვანელობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში დართული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება იმავე წლის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები
მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალკე-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების

საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.


სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის:

ანა ოსიყმიშვილი (SARAS-A-329489)




10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ლგ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

შენიშვნები	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 01 იანვარი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	8,593	8,313
არამატერიალური აქტივები		2	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,595	8,313
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	5,322	2,577
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,297	2,398
ფული და ფულადი საშუალებები	7	304	24
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,923	4,999
სულ აქტივები		16,518	13,313
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2	2
გადაფასების რეზერვი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		8,411	5,081
სულ კაპიტალი		8,413	5,083
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	8	4,637	5,506
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,637	5,506
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სახელშეკრულებო ვალდებულებები		2,886	2,427
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	531	248
საგადასახადი ვალდებულებები		45	40
მოკლევადიანი სესხები	8	6	8
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,468	2,723
სულ ვალდებულებები		8,105	8,229
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,518	13,313

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	10	17,108	10,043
თვითღირებულება	11	(11,280)	(6,693)
საერთო მოგება		5,828	3,350
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(711)	(465)
საოპერაციო მოგება		5,118	2,885
საოპერაციო ხარჯები	13	(769)	(394)
ფინანსური ხარჯები	14	(388)	(221)
არასაოპერაციო შემოსავლები		23	2
მოგება/ზარალი საკუთრივ სხვაობიდან		106	(499)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		4,090	1,772
მოგების გადასახადი		(53)	-
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		4,037	1,772

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



შპს „ლგ გრუპი“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ათასებში

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი, 2016	2	-	4,964	4,966
პერიოდის მოგება	-	-	1,772	1,772
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
დივიდენდის გაცემა	-	-	(1,655)	(1,655)
31 დეკემბერი, 2016	2	-	5,081	5,083
პერიოდის მოგება	-	-	4,037	4,037
დივიდენდის გაცემა	-	-	(708)	(708)
31 დეკემბერი, 2017	2	-	8,410	8,412

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ათასებში

	შენიშვნები	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,090	1,772
ცვეთა და ამორტიზაცია		528	357
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(106)	499
საპროცენტო ხარჯი		163	145
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		(2,745)	(178)
(ზრდა)/შემცირებამარაგებში		135	(542)
(ზრდა)/შემცირებასავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		459	1506
(შემცირება)/ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებებში		275	52
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		5	(317)
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე მოგების გადასახადში		2,804	3,294
ფულადი სახსრები ოპერაციებიდან		(53)	0
გადახდილი მოგების გადასახადი		2,751	3,294
წმინდა ფულის შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(808)	(4,001)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(2)	0
წმინდა ფული (გამოყენებული)/მოპოვებული საინვესტიციო საქმიანობიდან		-810	-4,001
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავალი სესხებიდან		1,053	3,687
სესხის დაფარვა		(1,943)	(1,472)
ცვლილება გადაფასების რეზერვში		-	-
გადახდილი დივიდენდი		(708)	(1,655)
წმინდა ფული (გამოყენებული)/მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		(1,598)	560
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(63)	(59)
წმინდა ფულის ზრდა		279	(206)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში		24	230
ფულადი საშუალებები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს		304	24

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



10 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 7-17 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ლგ გრუპი“

მმართველობითი ანგარიშგება - ბიზნესის მიმოხილვა

1. კომპანიის ისტორია, განვითარება და პოზიცია ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია: შპს ლგ გრუპი საქართველოში მინის, ალუმინის და ქვის ფასადების მწარმოებელი ერთერთი დიდი კომპანიაა.

შპს ლგ გრუპი დაარსდა 1997 წლის 2 თებერვალს. კომპანია უმეტესწილად ოპერირებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი ძირითადი საქმიანობაა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოება.

შპს ლგ გრუპის გადაიარაღება და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა მოხდა 2016 – 2017 წლებში, რამაც დახვეწა და საგრძნობლად გააუმჯობესა მომსახურეობის ხარისხი. მანქანა-დანადგარების იმპორტირება განხორციელდა იტალიიდან და ისრაელიდან. მოცემულ ეტაპზე კომპანია უმაღლესი ხარისხის მომსახურეობას უწევს სხვადასხვა სამშენებლო კომპანიებს. შპს ლგ გრუპი წარმოადგენს ისეთი ცნობილი სამშენებლო კომპანიების ქვეკონტრაქტორს, როგორებიცაა შპს ანაგი, შპს ელიტა ბურჯი, შპს ლისი დეველოპმენტი, შპს აქსის კონსტრაქშენი და სხვა.

შპს ლგ გრუპს გააჩნია საქართველოში წარმატებულად ფუნქციონირების 22 წელზე მეტი ისტორია.

კომპანია ძირითადი ნედლეულისა და მასალების იმპორტირებას ახდენს ნორვეგიიდან, ბელგიიდან, ჩეხეთიდან, ლატვიიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. იგი შემინვისათვის იყენებს მსოფლიოში აღიარებული ამერიკული მინის მწარმოებელი კომპანიის GUARDIAN GLASS-ის მინას, ხოლო პროფილებისათვის კი - ბელგიური REYNAERS-ისა და ნორვეგიული SAPA-ს ალუმინს.

შპს ლგ გრუპს აქვს სამი ქარხანა ქ. თბილისში. მინის დამუშავება ხდება სარაჯიშვილის გამზირზე მდებარე ქარხანაში, ალუმინის ჭრა და პროფილების აწყობა ვანის ქუჩაზე, ხოლო ქვის დამუშავება კი ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე ქარხანებში.

კომპანიას გააჩნია 2018 წლის 30 იანვრით დათარიღებული გერმანული კომპანია TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ გაცემული მენეჯმენტის ხარისხის სერტიფიკატი ISO 9001:2015.

ფინანსური მაჩვენებლები:

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში	2017	2016
შემოსავლები	17 108	10 043
თვითღირებულება	11 280	6 693
საერთო მოგების მარჟა	34.07 %	33.36 %
წმინდა მოგება	4 037	1 772
აქტივები	16 518	13 313
ვალდებულებები	8 105	8 230

პროგრესის მიზეზები:

შემოსავლები - ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: სამშენებლო ბიზნესის განვითარებამ და მზარდმა მასშტაბებმა განაპირობა მოთხოვნის ზრდა შენობა-ნაგებობების შემინვისა და მოპირკეთების სამუშაოების წარმოებაზე; კომპანიის თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვამ განაპირობა მომსახურეობის ხარისხის მნიშვნელოვნად გაზრდა და შესაბამისად კომპანიის მომსახურეობაზე მოთხოვნის ზრდა.

აქტივები - შპს ლგ გრუპის მომსახურეობაზე მოთხოვნის ზრდის დასაკმაყოფილებლად კომპანიამ 2016-2017 წლებში შეიძინა თანამედროვე მანქანა-დანადგარები და შესაბამისად დაიწყო მაღალი ხარისხის ნედლეულისა და მასალების იმპორტირება.

2. განვითარების გეგმები

კომპანიის კორპორაციულ სტრატეგია კლიენტზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც. კომპანიის ფილოსოფიას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვაწარმოებთ და ვყიდით არა ცალკეულ პროდუქტებს, არამედ სისტემებს.

ვინაიდან კომპანიას გააჩნია ქვის დამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მომავალისთვის ვფიქრობთ ადგილზე მოვიპოვოთ და მაღალ დონეზე დავამუშავოთ ტუფის ქვა, რათა იგი აქტიურად გამოვიყენოთ შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალები. მომსახურეობის გასაწევად გამოიყენება თბილისში არსებული ქარხნები და შესაბამისი საწყობები.

4. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

2016-2017 წლების ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები და განმარტებები ცვლილებების შესახებ იხილეთ სექციაში „ფინანსური მაჩვენებლები“.

ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურეობის ღირებულების წილი შეადგენს დაახლოებით 98 %-ს.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2016-2017 წლებში შესაბამისად შეადგენდა 94 და 115 დასაქმებულს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 9 ქალია.

5. წლიური ფინანსური ანგარიშგების თანხების დამატებითი განმარტებები

შპს ლგ გრუპის სამარკო ნიშანია 22 წლის მანძილზე მისი ეტაპობრივად განვითარება და სტაბილურობა ბაზარზე, მომსახურეობის მიწოდების სისწრაფე და მაღალი ხარისხი.

კომპანიის მმართველ გუნდს ამ ინდუსტრიაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მენეჯმენტი 100%-ით ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში, რაც საშუალებას აძლევს მათ არ ჩამორჩნენ თანამედროვე ტენდენციებს და მოახდინონ მყისიერი ადაპტაცია ნებისმიერ გამოწვევაზე.

6. რისკების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას გულისხმობს.

მომსახურების მიწოდებისას ზოგიერთ კომპანიასთან მიღწეულია საბანკო გარანტიით თანამშრომლობა, დანარჩენებთან დამოკიდებულებაში ძირითადად მუშაობს წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ნდობის ფაქტორი.

საექვო ვალების და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია მუშავდება და კონტროლდება გაყიდვების სამსახურის, ფინანსებისა და იურიდიული სამსახურების მეშვეობით.

პროდუქციის რისკი. რისკები ძალზე იშვიათად დაკავშირებულია მომსახურების მიწოდების ვადებთან. შეძენილი ნედლეულისა და მასალების დამველება როგორც წესი არ ხდება და შესაბამისად, ვარგისიანობის ვადის გასვლის რისკები უმნიშვნელო და არარსებულია.

რისკები დაკავშირებულია სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას მინის გაბზარვასთან და მსხვრევასთან. ასეთ შემთხვევებში ხდება კლიენტისათვის მინის გამოცვლა და შესაბამისი ზარალის აღება კომპანიის მიერ.


სავალუტო რისკი. დღევანდელ პირობებში რისკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სახეა სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობა, რაც იწვევს ასევე, ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

სხვა რისკები. არსებობს არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნის რისკიც, რაც არ არის უშუალოდ კომპანიის საქმიანობიდან შექმნილი.

10 ივნისი, 2019

დირექტორი

მ. როსტიაშვილი



ფინანსური დეპ. უფროსი

ა. ალიმბარაშვილი

